

## თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და  
შპს „ნიუ-ლაინ“-ს შორის

ქ. ბათუმი

9 იანვარი 2020 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**“ (შემდეგში „**ბსუ**“), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ **შპს „ნიუ-ლაინ“** ს/კ 445488703 (შემდეგში „**ნიუ-ლაინ**“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ბათამის მიერ, (შემდეგში „**მხარეები**“) თანხმდებიან პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

### მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. **შპს „ნიუ-ლაინ“** უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**საფინანსო სერვისები**“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას. ასევე უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას; პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში,
2. მხარეები:
  - ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
  - ბ) დაგეგმავენ და განახორცილებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
  - გ) უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის „**საფინანსო სერვისები**“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით და სასწავლო რესურსებით.

### მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრამდე მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
„**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო**

უნივერსიტეტი“

ქ. ბათუმი, ნინოწვილის/რუსთაველის ქ. 35/32

მერაბ ხალვაში

რექტორი, ასოცირებული პროფესორი



შპს „**ნიუ-ლაინ**“

ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N41

მიხეილ ბათამე